პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
,,7 x 7 ფეხბურთის ასოციაციისათვის"
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით,
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 09 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ---------- მომართვის ---------- შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,7 x 7 ფეხბურთის ასოციაციისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №404573323) ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი №100/ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი №100-ის მიმდებარედ (ფართობით 7 629.00 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.06.27.---), მდებარე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,7 x 7 ფეხბურთის ასოციაციის" (საიდენტიფიკაციო კოდის №404573323) მიერ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებული იქნას სამოყვარულო ფეხბურთის განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის.

მუხლი 3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,7 x 7 ფეხბურთის ასოციაცია" (საიდენტიფიკაციო კოდის №404573323) ვალდებულია უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართვის საფუძველზე, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობა არანაკლებ კვირაში რვა საათისა.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: დავით ერემეიშვილი